სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

2021-2022 სასწავლო წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

თბილისს 2022

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - სასპორტო პროგრამები და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი დარგები, როგორებიცაა - მასაჟი, რეაბილიტაცია, რეპორტინგი. 2021 წლის დასაწყისში კოლეჯმა საკუთარი რესურსის გამოყენებით მოამზადა პროფესიული სტანდარტი - სპორტული ინსტრუქტორი და იმავე წლის 6 აგვისტოს სტანდარტი შესაბამისი დანართებით დაგაეგზავნა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ამ დრომდე არ დაწყებულა მუშაობა ჩარჩო დოკუმენტის ე.წ. საგანმანათლებლო სტანდარტის შესამუშავებლად. ამის მიზეზად კი ახალი სსიპ-ის - პროფესიული უნარების სააგენტოს ჩამოყალიბება და შესაბამისი რეგულაციების არ არსებობა სახელდება.

2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად კოლეჯში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანების განხორციელება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორის“ შემუშავება და დანერგვა
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა
3. პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება
4. პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვა/ განახლება თბილისსა და ქუთაისში
5. სასწავლო პროცესის მონიტორინგი
6. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადამოწმება და საჭირო ცვლილებების განხორციელება
7. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
8. კომმპიუტერული კლასის ახალი კომპიუტერებით მომარაგება
9. კოლეჯის ვებ-გვერდის განახლება
10. ბიბლიოთეკის წგნადი ფონდის შევსება
11. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება

2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პირველი სტრატეგიული გეგმის პირველი პუნქტით გაწერილი ამოცანისა და აქტივობების განხორციელება კოლეჯისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ განხორციელდა.

თუმცა 2021 -2022 სასწავლო წელს კოლეჯში შემუშავდა და საავტორიზაციოდ მომზადდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების 13 პროგარამა

1. კრივის ინსტრუქტორი (თბილისი)
2. სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი (თბილისი)
3. ცურვის ინსტრუქტორი (თბილისი)

4. ძიუდოს ინსტრუქტორი (თბილისი)
5. ფიტნესის ინსტუქტორი (თბილისი)
6. თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი (თბილისი)
7. ფეხბურთის ინსტრუქტორი (თბილისი)
8. სპორტული მასაჟი (თბილისი)
9. საფეხმავლო გამყოლი (თბილისი)
10. სპორტული მასაჟი (ქუთაისი)
11. ფეხბურთის ინსტრუქტორი (ქუთაისი)
12. ძიუდოს ინსტრუქტორი (ქუთაისი)
13. თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი (ქუთაისი)

კოლეჯმა ავტორიზაცია ვერ მიიღო მხოლოდ 2 პროგრამაზე - საფეხმავლო გამყოლი (თბილისი) და ფიტნესის ინსტუქტორი (თბილისი)

რაც შეეხება მეორე სტრატეგიულ მიზანს - პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ამ კუთხით ყველა დასახული ამოცანა შესრულებულია. დაიგეგმა და წარმატებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. კოლეჯის თანამშრომლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები ხარისხის ცენტრის, მასწავლებლის სახლისა და განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებში.

სტრატეგიული მიზანი 3. დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება. კოლეჯმა შეიძინა ახალი კომპიუტერები, როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე კომპიუტერული კლასისთვის. ახალი წიგნებით შეივსო ბიბლიოთეკა. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმდა მემორანდუმები და ხელშეკრულებები. შემუშავდა სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და მეცადინეობებზე დასწრების გრაფიკები. მუდმივად კონტროლდება კოლეჯის ვებ-გვერდი და სიხალეები მუდმივად და დროულად აისახება, რათა მოხდეს დაინტერესებული პირებისთვის ხხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯი გამუდმებით ზრუნავს საკუთარი ცნობადობის ამაღლებაზე. კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ პროფესიულ განათლებაში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს. კოლეჯის მასწავლებლები, რომელბიც ასევე არიან დარგის სპეციალისტები და მუშაობენ სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში, უზრუნველყოფენ სტუდენტების მოზიდვას.

2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს კოლეჯი გეგმავს მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, სადაც ასევე დეტალურად იქნება გაწერილი ის

ამოცანები, რომლებიც მიმდაბრე სასწავლო წელს ვერ შესრულდა და კოლეჯის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ახალი ამოცანები.